

საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები, 21 მაისი, 2008 წელი (გენდერული ანალიზი)

არჩევნების შედეგების მიმოხილვა

21 მაისს საქართველოში პარლამენტის მორიგი არჩევნები გაიმართა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 18504076-მა ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 53 %-ს შეადგენს. ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა ახალციხესა და ასპინძაში - 85%, ხოლო ყველაზე დაბალი - წალკაში (35%) და საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებში - 4,7%. ბათილად ცნობილ იქნა 56 077 ბიულეტენი, რაც ბიულეტენებისა საერთო რაოდენობის 0,3%-ს შეადგენს.

დღეისათვის საერთო ჯამში 39 საარჩევნო უბნის შედეგები გაუქმდა საარჩევნო ადმინისტრაციების და სასამართლოების მიერ.

სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის უწყებათაშორისი ჯგუფის განცხადებით, ამ საარჩევნო უბნებზე შემდეგი სერიოზული დარღვევები იქნა აღმოჩენილი: ბიულეტენების ჩაყრა (შვიდი შემთხვევა); ხმის რამდენჯერმე მიცემა (ხუთი შემთხვევა); სხვის მაგივრად ხმის მიცემა (ოთხი შემთხვევა); ადგილობრივ დამკვირვებლებზე ზეწოლა ან დაშინება (სამი შემთხვევა); საარჩევნო ყუთის დაზიანება (ორი შემთხვევა); ოქმის არასწორად შედგენა (ორი შემთხვევა); ჩხუბი საარჩევნო უბანზე (ორი შემთხვევა).

საერთო ჯამში პოლიტიკური სუბიექტებისათვის მიცემული ხმები რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

საარჩევნო სუბიექტი	%	
1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ქართული პოლიტიკა"	0.46%	8231
2. საქართველოს რესპუბლიკური პარტია	3.78%	67037
3. საარჩევნო ბლოკი "მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრეწველები (მ.გ.ს., ერთობა, ე.დ.პ.)"	0.93%	16440
4. "შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია"	7.44%	132092
5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის"	59.18%	1050237
6. პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს სპორტსმენთა კავშირი"	0.19%	3308
7. საარჩევნო ბლოკი "გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)"	17.73%	314668
8. "სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული ნაციონალური პარტია"	0.18%	3180
9. პოლიტიკური გაერთიანება "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)"	0.89%	15839
10. "გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები"	8.66%	153634

11.საარჩევნო ბლოკი "ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია"	0.44%	7880
12. საქართველოს პოლიტიკური პარტია "ჩვენი ქვეყანა"	0.12%	2101

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, მანდატები საკანონმდებლო ორგანოში იმ 4 საარჩევნო სუბიექტმა მოიპოვა, რომლებმაც 5%-იანი ბარიერი გადალახეს და პროპორციული მანდატების შესაბამისი რაოდენობა მოიპოვეს.

- "შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია" (6 მანდატი)
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის" (48 მანდატი)
- საარჩევნო ბლოკი "გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)" (15 მანდატი)
- "გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები" (6 მანდატი)

რაც შეეხება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მოპოვებულ საპარლამენტო მანდატებს, მანდატები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის" - 71 მანდატი
- საარჩევნო ბლოკი "გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)" - 2 მანდატი
- საქართველოს რესპუბლიკური პარტია - 2 მანდატი

საერთო ჯამში კი მანდატები ასე გადანაწილდა:

	პროპორციული	მაჟორიტარული	ჯამი	
"შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული	6	0	6	4%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის"	48	71	119	79,3%
საარჩევნო ბლოკი "გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო,	15	2	17	11,3%
"გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები"	6	0	6	4%
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	0	2	2	1,3%


შედეგებიდან გამომდინარე, ნაციონალურმა მოძრაობამ 119 მანდატი (79,3%) მოიპოვა და საკონსტიტუციო უმრავლესობისათვის საჭირო მანდატების რაოდენობა დააგროვა.

ქალები საქართველოს პარლამენტში

სხვადასხვა ინსტიტუციურ ფაქტორებზე დაყრდნობით ექსპერტები არჩევნების შედეგად ქალთა რაოდენობის შემცირებას ვარაუდობდნენ. მანდატების საერთო რაოდენობის შემცირებას, ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების არსებობას, პროპორციული საარჩევნო მანდატების ხვედრითი წილის შემცირებას, 7%-იანი საარჩევნო ბარიერის 5%-მდე შემცირებას ქალთა რაოდენობის შემცირება უნდა

გამოეწვია. ამ მნიშვნელოვან ფაქტორებს ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი გენდერულად "არასენსიტიური" სიებიც დაერთო და საერთო ჯამში, არჩევნების შედეგების მიხედვით ქალებმა 9 მანდატი მოიპოვეს, რამაც საერთო რაოდენობის 6% შეადგინა. აქედან პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 8 ქალი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით - მხოლოდ ერთი.

პარლამენტის წევრთა გენდერული სეგრეგაცია



პარტიების მიხედვით პროპორციული სიით ქალთა მიერ მოპოვებული მანდატები შემდეგნაირად არის გადანაწილებული;

- "ΑΘΕΕΑΤΕ ΓΑΥΕΙ ΓΑΕΘΟΕ ΙΤ ΠΟΑΙ ΑΑ - ΑΑΙΑΘαΑΑΑΘΕΕ ΘΑΘΑΘΕΑΑΕΤΙ ΘΑΕΑΕΘ" (5 მანდატი)
- ΘΑΑΘΥΑΑΙΤΙ ΑΕΤΙ ΕΕ "ΑΑΑΘΕΕΑΓΑΑΘΕΕ Ι ΘΙ ΑΕΥΕΑ (ΑΘΙ ΑΙΘΕΕ ΘΑΑαΙ , ΙΑΙΑΘαΑΑΓΑΑΕ)" (2 მანდატი)
- "ΑΕΙ ΘΑΕ ΕΑΘΑΙΑΡΑ - ΘΘΕΘΘΕΑΓ-ΑΑΙΤΙ ΕΘΑΘΑΑΕ" (1 მანდატი)

ლეიბორისტული და რესპუბლიკური პარტიების მიერ გაყვანილი პარლამენტის წევრებიდან არც ერთი არ არის ქალი.


რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, 57 მაჟორიტარი კანდიდატი ქალიდან მხოლოდ ერთმა ქალმა, ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილმა რუსუდან კერვალიშვილმა მოიპოვა გამარჯვება სამგორის მაჟორიტარულ ოლქში, რაც მაჟორიტარული მანდატების 1,3% შეადგენს. მაჟორიტარი ქალი კანდიდატებიდან გამარჯვება 1,7%-მა მოიპოვა, ანუ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი ქალი კანდიდატების 98,3% არჩევნებში დამარცხდა.

ქალთა მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა

	პროპორციული	მაჟორიტარული	ჯამი
"შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული	0	0	0
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის"	5	1	6
საარჩევნო ბლოკი "გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო,	2	0	2
"გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები"	1	0	1
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	0	0	0


შესაბამისად, მაციონალური მოძრაობის პარლამენტის წევრებს შორის ქალები 5%-ს შეადგენენ, გაერთიანებული ოპოზიციის რიგებში ქალები მათ მიერ მოპოვებული მანდატების 11,7% ფლობენ, ხოლო "გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატების" მიერ მოპოვებული მანდატებში ქალთა ხვედრითი წილი 16,6 % -ს შეადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიას მხოლოდ ერთი ქალი პარლამენტის წევრი ეყოლება, პროცენტული რაოდენობით ყველაზე მეტი ქალი ჰყავს წარმოდგენილი.

ქალთა მიერ მოპოვებული მანდატები საარჩევნო სუბიექტების მიხედვით




საარჩევნო სისტემების მიხედვით, ქალებმა უფრო მეტ წარმატებას პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით მიაღწიეს, მათ პროპორციული მანდატების 10,6% მოიპოვეს, ხოლო მაჟორიტარული სისტემით - 1,3% მოიპოვეს.

ქალთა მიერ მოპოვებული მანდატები საარჩევნო სისტემების მიხედვით




აღსანიშნავია, რომ 21 მაისს გამართული არჩევნების შედეგების მიხედვით საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა 1995 წელს არსებულ ნიშნულს მიუახლოვდა.

ქალთა რაოდენობის დინამიკა საქართველოს პარლამენტში (%)



სამწუხაროდ, ქალთა რაოდენობა როგორც შეფარდებითი, ასევე აბსოლუტური რაოდენობით შემცირდა, წინა წლებთან შედარებით შემცირდა მაჟორიტარი ქალების ხვედრითი წილიც, (აღსანიშნავია, რომ პროპორციულ მანდატებისგან განსხვავებით, მაჟორიტარული მანდატების საერთო რაოდენობა არ შეცვლილა)

**ქალთა რაოდენობის დინამიკა საპარტილოს კარლამენტში
(საარჩევნო სისტემების მიხედვით)**



არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული საარჩევნო კანონმდებლობა უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა წარმომადგენლობაზე. არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში ქალთა რაოდენობის ზრდის შანსი მინიმუმამდე არის დაყვანილი. რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა საარჩევნო სისტემით და რა კანონმდებლობით ჩატარდება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, შესაძლოა, კანონმდებლობამ კვლავ განიცადოს ცვლილებები, თუმცა ცალსახად შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ არსებული კანონმდებლობის პირობებში ქალთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას არ უნდა ველოდოთ.

ქალ პარლამენტართა სია:

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის”

1. **ოჩიაური ხათუნა** - 09.06.59; არქიტექტორი; თბილისის საკრებულო; წევრი; უპარტიო
2. **ხერხეულიძე ეკატერინე** - 13.06.72; ფილოლოგი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭო; განათლების, კულტურის, მეცნიერების და სპორტის თავმჯდომარე;
3. **გოგორიშვილი ხათუნა** - 04.09.64; სამართალმცოდნე; საქართველოს პარლამენტი; კომიტეტის თავმჯდომარე;
4. **ვერულაშვილი მარიკა** - 19.03.71; სამართალმცოდნე; საქართველოს პარლამენტი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; წევრი, თავმჯდომარის მოადგილე;
5. **თაქთაქიშვილი ჩიორა** - 28.02.81; სამართალმცოდნე; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
6. **კერვალიშვილი რუსუდანი** - 25.07.55; სამკურნალო საქმე; შ.პ.ს. `ცენტრ პოინტ ჯგუფი~; დამფუძნებელი;

საარჩევნო ბლოკი “გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)”

7. **ბესელია ეკა** - 06.11.71; სამართალმცოდნე; ს.პ.ს. „ეკა ბესელიას საადვოკატო კომპანია~; დირექტორი; პ/გ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის”
8. **ჩიხრაძე ფიქრია** - 27.04.66; ქართული ენა და ლიტერატურა; საქართველოს პარლამენტი; პარლამენტის წევრი; პ/გ „ახალი მემარჯვენეები” (ახლები)

“გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები”

9. **ანიკაშვილი მაგდალინა** - 24.10.81; ტელე-კინო ჟურნალისტი; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"; პრეს-სპიკერი;